



შენიშვნები და კომენტარები
ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთის ტერიტორიაზე
სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის
ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე

12 თებერვალი, 2026

წარმოდგენილი შენიშვნებს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე [გამოქვეყნებულ](#) სს „არ ემ ჯი კოპერის“ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების პროექტის გარემოზე ზემოქმედების (გზმ) შეფასების ანგარიშზე.

1. ხარჯ-სარგებლიანობის შეფასება

გზმ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი. დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში ვკითხულობთ, რომ „სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი გაცილებით საგულისხმო იქნება, ვიდრე გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება“. აღნიშნული არ არის გამყარებული რაოდენობრივი ან შედარებითი ინდიკატორებით. აგრეთვე, არ არის წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები.

როგორც 6.14 ქვეთავში ვკითხულობთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2024 წლის 22 ნოემბრის N665/ს ბრძანებით გაცემული გზმ-ს ანგარიშში დეტალურადაა შეფასებული შეუქცევადი ზემოქმედება, სადაც ასახულია მოსარგებლეების (საზოგადოების) მიერ დანაკარგის აღქმა ამ რესურსებისა დასერვისებით სარგებლობის წყვეტის გამო და ქმედების (დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება) სარგებელი იქნება ის ეკონომიკური ღირებულება რაც შექმნება სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების პროცესში. აღნიშნული შეფასების პროცესში პროექტის დანახარჯი-სარგებლიანობის მიდგომის გამოყენებით ანალიზი ცხადყოფს, რომ პროექტის სარგებელი მნიშვნელოვნად აღემატება დანაკარგს გარემოზე ზემოქმედების გამო. აღნიშნული ჩანაწერი არც ამ და არც შემდგომ ქვეთავებში არ არის კონკრეტული ციფრებით წარმოდგენილი და გამყარებული. შესაბამისად, რეალური ინფორმაცია დანაკარგისა და მიღებული სარგებლის შესახებ საერთოდ არ არის განხილული.

2. ალტერნატივების განხილვა

ანგარიშში განხილულია ნულოვანი (უმოქმედობის) და განთავსების ალტერნატივები. თუმცა, წარმოდგენილი ქვეთავი უფრო ფორმალური სახისაა. 3.1 ქვეთავში პირდაპირ წერია, რომ უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატიული ვარიანტი უგულვებელყოფილია. განმარტება ეფუძნება იმას, რომ სოციალურ-ეკონომიკური სარგებელი მეტია, თუმცა რეალური შეფასება არ არის გაკეთებული.

ქვეთავი არ მოიცავს სხვადასხვა ადგილმდებარეობის ვარიანტებს, განსხვავებული გარემოსდაცვითი რისკებით. რეალურად წარმოდგენილია მხოლოდ დაგეგმილი ვარიანტების აღწერა. არ არის განთავსების სხვადასხვა ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური რისკების შედარება განხილული.

3. ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედება

ქვეთავი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ (ქვეთავი 6.12) არ მოიცავს ინფორმაციას პროექტის განხორციელების შედეგად, მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკებისა და შესაძლო შემარბილებელი მექანიზმების შესახებ.

არაა წარმოდგენილი რეგიონში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული სტატისტიკა, რაც მნიშვნელოვანია საწყისი მდგომარეობის განსასაზღვრად.

4. წარმადობის გაზრდა

კომპანიას არ აქვს წარმოდგენილი დეტალური და დაზუსტებული ინფორმაცია წარმადობის გაზრდის/შემცირების შესახებ. ანგარიშის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ, რომ „კომპანიას დაგეგმილი აქვს საწარმოო ტერიტორიაზე განახორციელოს ინფრასტრუქტურული ცვლილებები, რომელიც არ უკავშირდება საწარმოს გადამუშავებული და მიღებული პროდუქციის წარმადობის ცვლილებას და მათი განხორციელება დაგეგმილია საწარმოს ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობისათვის. ამასთან, კომპანია გეგმავს მშრალი კუდების სანაყაროს კონტურის მცირედით გაფართოებას და დამატებითი დამხმარე გზის მოწყობას“.

თუმცა, ანგარიშის მეორე თავში (ცხრილი 2. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების აღწერა არსებულ საქმიანობასთან შედარებით) და 3.2 ქვეთავში ვკითხულობთ, რომ ერთ-ერთ ცვლილებას სამსხვრევი დანადგარის ჩანაცვლება და წარმადობის გაზრდა წარმოადგენს.

ქვეთავი 2.6 ასევე ვხვდებით ინფორმაციას წარმადობასთან დაკავშირებით, თუმცა, ინფორმაცია იმის შესახებ - რამდენია საწარმოს წარმადობა ამჯერად, იგეგმებ თუ არა გაზრდა და რამდენით, ამ ქვეთავის გაცნობის შემდეგაც გაურკვეველი რჩება. არც შემდეგ ქვეთავებში არ არის ეს საკითხი გარკვევით წარმოდგენილი. დასაზუსტებელია ამჯერად მოქმედი საწარმოს საპროექტო წარმადობის და პროექტის ცვლილების შედეგად მიღებული ჯამური წარმადობის შესახებ ინფორმაცია.

5. ბიომრავალფეროვნების შეფასება

გზმ ანგარიშში ზედაპირულად არის წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაცია. როგორც 6.7 ქვეთავში ვკითხულობთ, 2024 წლის 22 ნოემბრის N665/ს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე და შეთანხმებული გზმ-ის დოკუმენტის მომზადებამდე, გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია შპს „SDSC“-ის მიერ ფლორისტული და ფაუნისტური კვლევები განხორციელდა 2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდებში. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ გაზაფხული-ზაფხულის პერიოდებში, ორ სეზონზე ჩატარებული კვლევა პროექტით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შესაფასებლად არ არის საკმარისი.

როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, ჩატარებული კვლევის შედეგები დეტალურად წარმოდგენილი იყო 2024 წლის გზმ-ის ანგარიშში (N665/ს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება). ბიომრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციას ასევე ვხვდებით დანართი 3 ში, სადაც ასევე არ არის დეტალური კვლევა წარმოდგენილი. ამავე დანართში ვკითხულობთ, რომ „ბიომრავალფეროვნების კვლევის დეტალური მონაცემები ასახულია გზმ-ს შესაბამის პარაგრაფებში“. თუმცა, ასეთი პარაგრაფები რა თქმა უნდა არ გვხვდება გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტში. შესაბამისად,

დოკუმენტი არ მოიცავს სრულყოფილ ინფორმაციას არც ფლორასა და ფაუნაზე, არც ხეების ჭრის შედეგად ცხოველებსა და ჰაბიტატებზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკომპენსაციო ღონისძიებების გეგმა-გრაფიკის შესახებ.

6. არქეოლოგიური კვლევა

კომპანია არც არქეოლოგიური შესწავლის შედეგებს არ წარმოადგენს გზშ ანგარიშში. როგორც 6.8.1 ქვეთავში ვკითხულობთ „2024 წელს საპროექტო ტერიტორიის დარჩენილ ნაწილზე ≈99 ჰა (ფილტრაციის უბნის, მშრალი კუდების სანაყაროს, მისასვლელი გზების, საკონტროლო მარეგულირებელი ტბორის, ბუფერული აუზის ტერიტორია) შპს „კულტურული მემკვიდრეობის სკოლასახელოსნომ“ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენის მიზნით, ჩაატარა ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც მოიცავდა როგორც ლიტერატურის ანალიზს, ისე მცირემასშტაბიან მიწის სამუშაოებს. არქეოლოგიური დაზვერვა ჩატარდა ორ ეტაპად და გამოვლინდა, რომ ზემოაღნიშნული ტერიტორია ფართობით ≈99 ჰა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისგან სტერილურია და დასაშვებია ფართომასშტაბიანი მიწის სამუშაოების წარმოება. არქეოლოგიური დაზვერვის ანგარიში და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოში წარდგენილი წერილი წარმოდგენილია შეთანხმებული გზშ-ს (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება N665/ს; 22.11.2024) შესაბამის თავებში“.

წარმოდგენილ გზშ ანგარიშში მხოლოდ ზოგადი სახის შემარბილებელი ღონისძიებები არის წარმოდგენილი და რეალურად არ ჩანს თუნდაც ტერიტორიაზე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში რა პროცედურები იქნება გათვალისწინებული.

7. მონიტორინგის გეგმა

ანგარიშში წარმოდგენილია კომპანიის მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა. თუმცა, არ არის მკაფიოდ გაწერილი იმ შემთხვევაში, თუკი ნორმის გადაჭარბება დაფიქსირდება რა ქმედებას განხორციელებს კომპანია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისად, დაუშვებელია საქმიანობაზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.